



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბილ ბუქ-  
უნი სიფყას, ცყუილებით და ჭბრბით ბუბ-  
თის გაფანა ყუელა უჯადისბბბაჟ უსბბბაგლესია.

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 21-22 აპრილი. 2021 წ. №85-86 (9204-9205) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

## გადავლილმა საზოგადოებამ აპოისუნთქა!



დღე ერთობისა  
და  
გამარჯვებისა...

საქართველოს პრეზიდენტმა სა-  
ლომე ზურაბიშვილმა გაუშინ ევროკუ-  
ლი საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიხეილს  
განუხილ ქალისხმევისთვის მადლობა  
კიდევ ერთხელ გადაუხადა.  
„ბატონო პრეზიდენტო, კიდევ ერთხელ  
მინდა, დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა  
და მადლობა მოგასხენოთ იმ ძალისხმე-  
ვისთვის, რამაც მოგვიყვანა დღევანდელ  
დღემდე. დღეს დილიდან კიდევ ახალი  
ხელმოწერებია შეთანხმების დოკუმენტზე,  
ეს იმას ნიშნავს, რომ ის დინამიკა, რომე-  
ლიც დაიწყო გუშინ, გრძელდება, ძალი-  
ან დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალ დღე-  
ებში, მომავალში კიდევ გაგრძელდება და  
მივიღებთ სრულყოფილ შედეგს. ეს იქნება  
და არის უკვე ნამდვილად ყველას გამარ-  
ჯება, პირველ რიგში ამ ქვეყნისთვის.  
შეთანხმება, რომელსაც ხელი მოეწე-

რა, რომელიც არის თქვენი და თქვენი  
წარმომადგენლის, ასევე აშშ-ის დახმარე-  
ბით მიღწეული, ძალიან ბევრს ნიშნავს ში-  
და პოლიტიკური წინსვლისთვის. პირველ  
რიგში, ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნე-  
ლობა საზოგადოებისთვის, რამეთუ სა-  
ზოგადოება ნამდვილად იყო დაღლილი,  
ვიტყობი კიდევაც, გადაღლილი, დაძაბუ-  
ლი ამ პოლარიზაციით, დაპირისპირებით  
და გაუთავებელი არეულობით, თუნდაც  
შეურაცხყოფილი, რადგან ეს არ არის ის  
ღირებულებები, რაც იყო და უნდა იყოს  
საქართველოს ღირებულებები. ამიტომ,  
დღევანდელ დღეს საზოგადოებამ ამოი-  
სუნთქა და თვითონაც გრძობს, რომ ეს  
არის მისთვის გამარჯვების დღე“, – გა-  
ნაცხადა სალომე ზურაბიშვილმა შარლ  
მიხეილსთან ერთად გამართულ პრესკონ-  
ფერენციაზე.

## შარლ მიხეილი: კრიზისი დასასრულს მიუახლოვდა!

ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ კიდევ  
ერთხელ ვარ თბილისში. პოლიტიკურმა ლიდე-  
რებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას და ეს ძალი-  
ან მნიშვნელოვანი მოვლენაა.  
„ეს სიახლის დასაწყისია, ეს ძალიან ბევრ შრომას  
საჭიროებს საქართველოს მხრიდან ევროინტეგრაცია-  
ციისთვის. ქართველმა ლიდერებმა მიაღწიეს შეთან-  
ხმებას და ეს მიღწევა თქვენ გეკუთვნით. ძალიან კარ-  
გად ვიცი, რამდენად დიდი ძალისხმევაა ამისთვის  
გაღებული. ეს არ იყო ადვილი პროცესი. ასლა უკვე  
ვიცი, რომ გამონეგებები შედარებით მარტივი სა-

მართავია. ადამიანები ელოდნენ ამ შედეგს. მადლობას  
ვუხდით პრემიერ-მინისტრს ხელმძღვანელობისთვის,  
ასევე, მადლობა ოპოზიციური პარტიების წარმომად-  
გენლებს მზაობისა და გადადგმული ნაბიჯისთვის.  
მადლობა ქალბატონ პრეზიდენტს იმისთვის, რომ მაქ-  
სიმალურადაა ჩართული საქართველო-ევროკავში-

რის ურთიერთობის მიმართულებით. კარგად ვი-  
ცი, რომ საქართველო აღნიშნავს დამოუკიდებ-  
ლობის წლისთავს და იკვებება ევროკავშირისკენ  
კიდევ უფრო მეტი მისწრაფება. შეთანხმება სა-  
ფუძველს უქმნის სამომავლო რეფორმებს“, – აღ-  
ნიშნა შარლ მიხეილმა.

გუშინვე შარლ მიხეილისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის პირისპირ  
შხსხვარა გაიმართა. აგასთანავე, ვიზიტის ფარგლებში ევროკულის საბჭოს პრეზიდენტი პარლამენტის  
თავმჯდომარეს, არჩილ თაყაიშვილსა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს პარლამენტში შეხვდა.  
დღის ბოლოს, სალომე ზურაბიშვილის სახელმთ, შარლ მიხეილს პატივისცემად საღიმი გაიმართა.

## შარლ მიხეილის მიერ პარტიებისთვის წარღბენილი ახალი წინადადებები (არაოფიციალური თარგმანი)

ევროკულის საბჭოს  
პრეზიდენტმა, შარლ  
მიხეილმა საქართვე-  
ლოსთვის სამომავლო  
გზასთან დაკავშირე-  
ბით საქართველოს პო-  
ლიტიკური პარტიების  
წარმომადგენლებს და-  
ტალური წინადადება  
შესთავაზა.  
საქართველოში ევ-  
როკავშირის წარმომად-  
გენლობის მიერ გავრცე-  
ლებული დოკუმენტის  
ტექსტს უცვლელად  
გთავაზობთ:  
\* \* \*  
ჩვენ, წინამდებარე შეთან-  
ხმებაზე ხელმოწერი პარტიები,  
ვითვალისწინებთ რა საერთო  
ინტერესებს იმისთვის, რომ:  
დასრულდეს არსებული პო-  
ლიტიკური უთანხმოება და წინ

## სამომავლო გზა საქართველოსთვის



წინის საქართველოს დემოკ-  
რატიული და კანონის უზენა-  
ესობის დღის წესრიგმა პო-  
ლიტიკური, მართლმსაჯულე-  
ბისა და ანტიკორუფციული  
რეფორმების გატარების გზით;  
შესაძლებლობა მიეცეს  
ჩვენს ქვეყანას, იყოს ძლიერი  
და ერთიანი კორონავირუს-  
ის პანდემიით გამოწვეული  
ჯანდაცვისა და ეკონომიკურ  
გამონეგებებთან გასამკლავებ-  
ლად;  
უზრუნველყოფილი იყოს  
საქართველოს უსაფრთხოე-  
ბისა და სტაბილურობის ინ-  
ტერესები რეგიონალური გა-  
მონეგებების პირობებში;  
ვიმოქმედოთ მიზანდასახუ-  
ლად საქართველოს ევროკულის  
და ევროატლანტიკური მისწ-  
რაებების განსახორციელებ-  
ლად;

**(პირველი გვერდიდან)**

ვალდებულნი ვართ ვადასტუროთ, რომ: ამ შეთანხმების ხელმოწერისთანავე შევალთ პარლამენტში და სრულად მივიღებთ მონაწილეობას საპარლამენტო საქმიანობაში;

მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე შევასრულებთ ჩვენს მოვალეობებს ურთიერთპატივისცემით და იმის აღიარებით, რომ საქართველოს სტაბილურობას ერთიანობა სჭირდება.

შესაბამისად, ვიღებთ ვალდებულებას, რომ სწრაფად და კეთილსინდისიერად განვახორციელებთ შემდგომში მოცემულ ყველა საკითხს:

**1. პოლიტიკულ მართლმსაჯულებად აღქმულ საქითხებაზე რეაგირება**

საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე და ამ შეთანხმების შესრულების მიზნით, ხელისმომწერები ვალდებულნი ვართ, ამ შეთანხმების ხელმოწერისთანავე ერთი კვირის ვადაში, რეაგირება მოახდინონ პოლიტიკულ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საკითხზე, ამნისტიის საშუალებით, ან ისეთი ზომების მიღებით, რომელიც ანალოგიურ შედეგს გამოიღებს. კერძოდ, ამ შეთანხმების ხელმოწერისთანავე ერთი კვირის ვადაში, პარლამენტი წარმოადგენილმა პარტიამ უნდა მოახდინოს ინიცირება კანონისა ამნისტიის შესახებ, რომელიც 2019 წლის 19-21 ივნისის პროტესტებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებას შეეხება.

გარდა ამისა, პარლამენტმა რეაგირება უნდა მოახდინოს პოლიტიკულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე კანონმდებლობის საშუალებით და (საჭიროების შემთხვევაში) შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები რეგლამენტში, რომ პარლამენტის წევრის სადეპუტატო იმუნიტეტის მოსახსნელად საჭირო იყოს უბრალო უმრავლესობაზე მეტი ხმა.

**პაწეპი:**

1. ხელმოწერიდან ერთი კვირის განმავლობაში უნდა განხორციელდეს ამ დებულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებები.
2. ყველა ხელმოწერი შედის პარლამენტში, რომ კენჭი უყაროს საკანონმდებლო და რეგლამენტის ცვლილებებს.

**2. აბიიური საარჩევნო რეფორმა**

მომავალი საპარლამენტო არჩევნები იქნება სრულად პროპორციული. შემდეგი ორი საპარლამენტო არჩევნებისთვის ბარიერი იქნება ბუნებრივიდან 2%-მდე. პარლამენტის არანაკლებ 4 წევრიდან შემდგომი ჯგუფი შეიქმნება საქართველო ფრაქცია, რომელიც შესაძლებელი იქნება დეპუტატების ჩართვა სხვა პარტიებით.

პარტიები მხარს დაუჭირენ 2 მარტს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს შემდეგი დამატებებით ან შესწორებებით:

ცენტრალური საარჩევნო კომისია: 8 პროფესიული და 9 პარტიული წევრი. პროფესიული წევრები აირჩევა პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმების 2/3-ით. ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე უნდა იყოს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი.

ადგილობრივი არჩევნები: პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების 4/1 პროპორცია სხუთ და ქალაქში და 2/1 პროპორცია ყველა დანარჩენში. 2.5% ბარიერი თბილისში, 3% ბარიერი ყველგან თბილისს გარეთ.

საოლქო საარჩევნო კომისია იგივე პროპორციით დაკომპლექტდება და პროფესიული წევრების ასარჩევად საჭირო იქნება ცესკოში ხმების 2/3.

საუბნო საარჩევნო კომისია იგივე პროპორციით დაკომპლექტდება, მას შემდეგ, რაც მოხდება საპარლამენტო განხილვა მიზანშეწონილობის შესახებ. პროფესიული წევრები ინიშნება საოლქო საარჩევნო კომისიების უბრალო უმრავლესობას +1 ხმით. საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმებს ხელს მოაწერს მინიმუმ 5 პროფესიული წევრი +1 პოლიტიკური პარტიის წევრი.

ცესკოს თავმჯდომარეს პარლამენტი ირჩევს ხმების 2/3-ით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან პროფესიული წევრების არჩევის შესაძლო დაბლოკვის საწინააღმდეგო მექანიზმი შემდგომში უნდა მოყალიბდეს:

1. პირველი მომდევნო კენჭისყრა ჩატარდება არა უადრეს 4 კვირისა წინა კენჭისყრიდან.
2. არჩევის შესაძლო დაბლოკვის საწინააღმდეგო ამ პროცედურის შესაბამისად ჩატარებული ნებისმიერი დანიშნვა (სრული შემადგენლობის ხმების 2/3-ზე ნაკლები) უნდა იყოს დროებითი. მისი ვადა ექვსი თვით შემოიფარგლება, რომლის განმავლობაშიც დანიშნვის სტანდარტული პროცედურა თავიდან უნდა დაიწყოს.



# სამოქალაქო გზა საქართველოსთვის

უნდა განისაზღვროს მკაფიო კრიტერიუმები ბიულეტენების გადასათვლელად. ქვეყნის მასშტაბით უბნების 10%-ის ავტომატური გადათვლის წესი ძალაში რჩება.

ცესკოს უფლებამოსილების ქვეშ შეიქმნება მიზნობრივი ჯგუფი, რომელიც შევლენ სახალხო დამცველის ოფისისა და მოწვეული, სანდო, მიუკერძოებელი არჩევნებზე სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები, და ასევე სანდო ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, დავეხმარება განხილვის პროცესისთვის და ცესკოსთვის დროული რეკომენდაციების წარსადგენად. შესაძლებელია, რომ ამ ჯგუფს მიენიჭოს დამატებითი ფუნქციები, როგორცაა გადათვლის პროცესში ჩართვა.

ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2021 წლის 20 მარტის ერთობლივი დასკვნის შესაბამისად, რომელიც შეეხება 2021 წლის იანვარში ინიცირებულ ორ კანონპროექტს (საკანონმდებლო ცვლილებებს პარტიების რეგისტრაციისა და დაფინანსების შესახებ) და შეთავაზებული ცვლილებები უნდა გადაიხედოს.

**პაწეპი:**

1. საარჩევნო კანონპროექტის განხილვა სამუშაო ჯგუფში განახლდება სხვა ოპოზიციური პარტიების პარლამენტში შესვლის შემდეგ.
2. შეთანხმების მიღწევადან ორი კვირის განმავლობაში შეცვლილი კანონპროექტი, რომელიც ამ შეთანხმებას სრულად ასახავს, გაიგზავნება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისში (OSCE/ODIHR) დასკვნის მისაღებად.
3. ყველა საჭირო ცვლილება დროულად უნდა იყოს მიღებული პარლამენტის მიერ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე.

**3. კანონის უზენაესობა, სასამართლო რეფორმა**

ამ საპარლამენტო ვადაში, ფართომასშტაბიანი, ინკლუზიური და ყველა პარტიის მონაწილეობით შემუშავებული რეფორმების გზაზე პირველი ნაბიჯის გადადგმის ნიშნად, პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს ამბიციური სასამართლო რეფორმა, შემდეგი პუნქტების ჩათვლით:

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების და ხარისხის გასაზრდელად, საქართველოს ხელისუფლებამ, 2017 და 2019 წლებში მიღებული მართლმსაჯულების რეფორმების ორი პაკეტის შესაბამისად:

- ა) პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეების დანიშნვისას უნდა გაზარდოს გამჭვირვალობა და დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევა, განსაკუთრებით მოსამართლეების დასანიშნად კეთილსინდისიერებასა და კომპეტენციის კრიტერიუმებზე დაფუძნებული წერილობითი დასაბუთების გამოქვეყნების გზით;
- ბ) პარლამენტს უნდა წარუდგინოს კანონპროექტი უზენაეს სასამართლოში დანიშნვებთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის 2019 წლის 24 ივნისის №949/2019 დასკვნის გათვალისწინებით, განსაკუთრებით, რაც ეხება დანიშნებისადმი ეტაპობრივ მიდგომას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ღია კენჭისყრას და საბჭოს მიერ წარდგენების დასაბუთების საჭიროებას;
- გ) უზენაეს სასამართლოში არსებული წესებით დანიშნებისგან თავი უნდა შეიკავოს;
- დ) მიიღოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2019 წლის ივნისში მიღებული გადაწყვეტილების აღმსრულებელი კანონმდებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოსაქვეყნებლად წესების დადგენის გზით.

მართლოს მიერ 2019 წლის ივნისში მიღებული გადაწყვეტილების აღმსრულებელი კანონმდებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოსაქვეყნებლად წესების დადგენის გზით.

ამავდროულად, უზენაეს სასამართლოში ყველა მიმდინარე დანიშნვა უნდა შეჩერდეს და ხელახლა დაიწყოს განცხადებების მიღება ახალ კანდიდატებთან დაკავშირებითაც მას შემდეგ რაც, ახალი კანონი ძალაში შევა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სიღრმისეული რეფორმა, რათა გაიზარდოს გამჭვირვალობა, კეთილსინდისიერება და ანგარიშვალდებულება, მათ შორის განისაზღვროს დანიშვნის, შეფასების, დაინაშურების, გადაყვანის, დისციპლინური გადაწყვეტილებების და დავების საკითხები, რომელიც გაეგზავნა ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს (OSCE/ODIHR) განსახილველად და მათი რეკომენდაციები სრულად უნდა იყოს შესრულებული.

რაც შეეხება მომავალ გენერალურ პროკურორებს, საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად აუცილებელი პროცედურების შემდეგ, საჯარო დებულების ჩათვლით, მხარეები იღებენ ვალდებულებას, განაგრძონ საერთო პოლიტიკური პოზიციის გაზიარება, რომ შემდეგი გენერალური პროკურორების დანიშნვისთვის საჭირო იქნება პარლამენტის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის ხმები, რაც ფართომასშტაბიან, ყველა პოლიტიკური პარტიის ჩართულობას და მხარდაჭერას უზრუნველყოფს; ეს დანიშვნები უნდა ჩატარდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, გამჭვირვალე, მიუკერძოებელი, დამსახურებაზე დაფუძნებული დანიშვნების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, მხარეები იღებენ ვალდებულებას, განაგრძონ საერთო პოლიტიკური პოზიციის გაზიარება, მომავალი გენერალური პროკურორების არჩევის შესაძლო დაბლოკვის საწინააღმდეგო მექანიზმის შემდგომი ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით:

1. პირველი ორ მცდელობას პარლამენტის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის ხმები დასჭირდება. შემდგომ მცდელობებს ხმების უბრალო უმრავლესობა დასჭირდება.
  2. ყოველი მომდევნო კენჭისყრა ჩატარდება არა უადრეს 4 კვირისა წინა კენჭისყრიდან.
  3. არჩევის შესაძლო დაბლოკვის საწინააღმდეგო ამ პროცედურის შესაბამისად ჩატარებული ნებისმიერი დანიშნვა (უბრალო უმრავლესობით) უნდა იყოს დროებითი. მისი ვადა ერთი წლით შემოიფარგლება, რომლის განმავლობაშიც დანიშნვის სტანდარტული პროცედურა თავიდან უნდა დაიწყოს.
- პარტიები იღებენ ვალდებულებას, განაგრძონ სასამართლო რეფორმა ინკლუზიური პროცესის საშუალებით, სასამართლო რეფორმის შესახებ და მეთვთვე ტალღის ეფექტიანობის შეფასების ჩათვლით. ამ რეფორმების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება საერთაშორისო ექსპერტების რჩევები და დახმარება, განსაკუთრებით დასანიშნის მოსამართლეების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით.

**პაწეპი:**

1. ამ შეთანხმების განხორციელებისა და შემდგომი რეფორმების შესახებ დისკუსია იწყება სხვა ოპოზიციური პარტიების პარლამენტში შესვლისთანავე.
2. პროექტი შედგენილია და 1 ივლისამდე იგზავნება ვენეციის კომისიაში დასკვნის მისაღებად.







ირაკლი ლაშინაშვილი: ეს საქართველოს გამარჯვებაა

დღეს დემოკრატიის გაძლიერებისკენ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადავდგით. ეს საქართველოს გამარჯვებაა! — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ლაშინაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

არმაზ ახვლედიანი შეთანხმების დოკუმენტს ხელი მოაწერა

„ევროპული საბარტოქო“ სიით გასულმა არმაზ ახვლედიანმა შეთანხმების დოკუმენტს, ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფისში, ხელი მოაწერა.



მიხეილ სააკაშვილი სოტა აზრზე მოსულა!

საბარტოქოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ნაციონალურ მოძრაობას“ მოუწოდებს, ნიკა მელიას გათავისუფლების შემდეგ, შარლ მიშელის დოკუმენტს ხელი მოაწეროს და პარლამენტში შევიდეს.

„ნიკა მელიამ უნდა დატოვოს საპატიმრო ყოველგვარი დამამცირებელი პირობების, გაუგებარი გირაოს გარეშე. უნდა დატოვოს ისე, როგორც მას სურს. რადგან ის იმყოფება იქ უკანონოდ და უდანაშაულოდ.“

ამასთან სააკაშვილი აცხადებს, რომ რეფერენდუმის წინ საბარტოქოში ჩამოვს და ფიზიკურად „ნაციონალური მოძრაობასთან“ ერთად იმდგება!

ოპოზიციის „აგენტები“ ზესტაფონში...

„ძართული ოცნების“ ზესტაფონის საოლქო ორგანიზაციის ინფორმაციით, სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან ფარული ურთიერთობის გამო, რამდენიმე წევრი პარტიიდან გარიცხეს, — ამის შესახებ „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ზესტაფონის საოლქო ორგანიზაციის განცხადებაშია აღნიშნული.

„ყოველგვარი უზუსტობისა და შესაძლო პოლიტიკური სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად, ვაცხადებთ, რომ 2021 წლის 17 აპრილის, მმართველი პარტიის ზესტაფონის საოლქო ორგანიზაციის ბიუროს სხდომაზე, რომელსაც ბიუროს სრული შემადგენლობა ესწრებოდა, სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან ფარული, პარტიის ხელმძღვანელობისთვის კატეგორიულად მიუღებელი ურთიერთობის გამო, ერთხმად გადაწყდა მათი კანონიერების, ლეგალიტეტივისა და პარტიის კიდევ რამდენიმე წევრის პარტიიდან გარიცხვა.“

შესაბამისად, საზგანმანათლებლო, რომ 2021 წლის 17 აპრილის შემდეგ, ეს ადამიანები პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრები აღარ არიან!“, — აღნიშნულია განცხადებაში.

თამარ თორაძე: ვერ გაიხსრება ჩვენი ოჯახის ცოდვით, თუ დაუშვებთ რუსულ მკვლელობას!

აშშ-ში მცხოვრები ქართველი, თამარ თორაძე, რომელიც 90-იან წლებში მისი ოჯახის ამონყვეტას გიორგი რურუას უკავშირებს, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის იმ განცხადებას ეხმიანება, რომლითაც პრეზიდენტი გიორგი რურუას შეწყალების პირობას იძლევა.



„გამარჯობა ქალბატონო სალომე! — შოკში ვარ თქვენი გამოსვლით, რომელიც რადიკალურად განსხვავდება წინა გამოსვლებისგან. კაცის მკვლელობის გარეშე უშვებთ (გიორგი უორიკა რურუას) და ამის მერე როგორ ვიყოთ მშვიდად ქართველები?“

რას აკეთებთ? რატომ იგდებთ აბუჩად საზოგადოებას? რატომ იგდებთ აბუჩად საკუთარ თავს? ამხელა ქვეყანაში ამერიკაში რატომ იჭრით თავებს? რას უჩვენებთ სხვა ქვეყნებს?, რომ არაფერი შეგიძლიათ საკუთარი ხალხისთვის და საკუთარი ქვეყნისთვის? ესეთ სერიულ კაცის მკვლელობა რა უნდა გარეთ? ან თქვენ რა ნაშუსით დაიძინებთ ამხელა ცოდვის ჩამდენი? აი, თუ მართლა ეს მოხდება, მე გაძლევთ პირობას, რომ თქვენ არ იქნებით ღირსეული საქართველოს პრეზიდენტი..



ოკუპირებული აფხაზეთი შექცეული ტურისტების მოზიდვას ცდილობს...

აფხაზეთის საზოგადოებრივ პალატაში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით მსჯელობა გაიმართა. რესპუბლიკის ტურიზმის მინისტრის თეიმურაზ ხიშბას თქმით, პანდემიის შემდეგ აფხაზეთში ვიზიტორების ახალი, უფრო შექცეული კატეგორია გამოჩნდა და ამ ტენდენციას განვითარება სჭირდება.

ადამიანები ზღვაზე ჩამოვლენ და რა დახვდებით მათ პლიაჟზე? იქაურთა ნაგვი-თა გავსებული, გარდა ამისა თითქმის არავითარი ინფრასტრუქტურა არ არსებობს, მაგალითად, გასასხდევები“, — ამბობს ტურიზმის კავშირის უფროსი.

„ჩვენთან ჩამოსვლა შედარებით მაღალბიუჯეტიანმა და მხარჯველმა ტურისტმა დაიწყო. იმან, რომელიც პანდემიამდე ევროპაში იხვეწებდა, დღეს კი, გასაგები მიზეზების გამო, ევროპა დასურულია. ამ კატეგორიაში ასევე ძალიან პოპულარული თურქეთი იყო, თუმცა, იქ ძალიან მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობაა და რუსეთში თურქეთთან ავიამოსვლა უკვე აკრძალა. შესაბამისად, აფხაზეთს, როგორც ტურისტულ მიმართულებას ამ სეზონზე დიდი პერსპექტივა აქვს“, — თქვა ხიშბამ.

პარლამენტის დეპუტატის თეიმურ ფიფიას თქმით, არის კიდევ რამდენიმე პრობლემა, რომელსაც ყოველი ტურისტი პირველივე წუთებიდან ეჯახება.

აფხაზეთის ტურიზმის კავშირის თავჯდომარის ანაკალი აგინას თქმით, პანდემია ჯერ არ დასრულებულა, ამიტომაც დამშვიდება ნაადრევია და სასტუმროების მხრიდან აუცილებელია უსაფრთხოების ყველა დადგენილი ზომების დაცვა.

„პირველი პრობლემა — საზღვარი. მუდმივად ძალიან დიდი, მრავალსაათიანი რიგებია. ხშირად ტურისტები ვერ უძლებენ და უკან, სოჭში ან ადლერში ბრუნდებიან. ეს პირველი რიგის პრობლემა — საზღვრის გადაკვეთა. გარდა ამისა, ბევრს საუბრობენ ტურისტების უსაფრთხოებაზე, გაზრდილ კრიმინალზე. მაგრამ ვის ხედავს ტურისტი, რომელიც ჩამოდის აფხაზეთში მანქანით პირველ რიგში? არა ყაჩაღს, რომელიც მას მანქანას ართმევს, არამედ საგზაო ავტონისპექტორებს, რომელიც მას აჩერებს და ფულს ღიად სძალავს. ჩვენ ხომ ყველამ ვიცით გზებზე რა უბედურებები ხდება. ამ დარგში აუცილებელია წესრიგის დამყარება“, — თვლის დეპუტატი. ამით პრობლემების ჩამონათვალი არ სრულდება.

„აფხაზეთის ტურისტული სექტორისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემა ამ ეტაპზე ენერგეტიკული კრიზისია. სასტუმრო სექტორი თითქმის მთელი წელი მუშაობს და მათ წყლის საკუთარი მარაგების შექმნადა გენერატორებით ელექტროენერჯის გამოყენება უწევთ. ცუდი გზები, მოძველებული კომუნიკაციები და ელექტროენერჯის მუდმივი გათიშვები, აი პრობლემები, რომლებიც ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს“, — მიიჩნევს ის.

თეიმურ ფიფიას თქმით, პრობლემას ასევე სტუმრების და ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული სხვაობა წარმოადგენს, რაზეც ჩამოსულ ტურისტებს არავინ ესაუბრება. ამის გამო კი ისინი უხერხულ მდგომარეობაში ხშირად აღმოჩნდებიან.

მისი თქმით, პრობლემა ასევე კომუნალური სამსახურების ცუდი მუშაობაც რჩება.

„ხშირად დაინახავთ ნახევრად შიშველ ტურისტებს, რომელიც სუფრაზე მიდის. მათ არავინ ეუბნებათ, რომ ასეთი საქციელი მიუღებელია. აზიაშიც და ევროპაშიც ტურისტების მიმართ გარკვეული მოთხოვნები არსებობს და არც ერთი ტურისტი გარეთ ნახევრად შიშველი არ გამოვა. ჩვენთან კი ეს დასაშვებია. ეს ტურისტის პატივისცემა კი არაა, ეს ჩვენივე უკულტურობის მაჩვენებელია“, — თვლის თეიმურ ფიფია.

„აფხაზეთში საშინელი სიბინძურება. როგორც კი ტურისტული ავტობუსი რუსეთიდან შემოდის, ეს ძალიან აშკარად ჩანს, ყველგან ნაგავი ყრია. ეს საშინელებაა. ჩვენ ამ საკითხს ყოველწლიურად ვაყენებთ. სეზონი უკვე კარს მოგვადგა, მალე

ენგურკანზე ტურისტული ატრაქციის მონყოლის სამუშაოები გადამდო!

ენგურკანის თაღვანი კაშხლის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა შეჩერდა. მიზეზი პანდემიაა..

ტერესებულია, შესაბამისად, პროექტის განხორციელება გადავდეთ, სავარაუდოდ ვიდრე სიტუაცია არ გამოსწორდება და ტურიზმის სფეროს აღდგენა არ დაიწყება. პროექტის დაწყების უზუსტ თარიღზე პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება, მაგრამ ვფიქრობ, წლის ბოლოს თავიდან გამოცხადდით ტენდერი“, — აღნიშნა გიორგი ჩიქოვანმა.

მსოფლიო დონის სანახაობის საპროექტო სამუშაოები ელტონურმა კომპანიამ „კოკო არქიტექტორები“ შეასრულა, თუმცა პროექტის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა.

პროექტი, ენგურკანის კაშხლის ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურა მოიცავს გადასახედ მოედნებს, საბაგირო გზას, მუზეუმს, ზიპლაინს, ლიფტს კაშხალზე.

როგორც „ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელი გიორგი ჩიქოვანი „ბიზნესპარტნიორთან“ აცხადებს, ამ ეტაპზე რთულია პროგნოზის გაკეთება, როდის დაიწყება სამუშაოები, თუმცა პროექტი აუცილებლად განხორციელდება.

გიორგი ჩიქოვანის თქმით, პროექტში ცვლილებები არ იგეგმება. პირველ ეტაპზე ზიპლაინი მოეწყობა. გიორგი ჩიქოვანის შეფასებით, პროექტი ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს, აგრეთვე ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებს. პროექტის საერთო ღირებულება დაახლოებით 25 მილიონი დოლარია.

„ეკონომიკის სამინისტრომ პანდემიიდან გამომდინარე მიზანშეუწონლად მიიჩნია ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის წელს დაწყება.“

პანდემიის გამო, 2020 წელს ინფრასტრუქტურის ნაწილის აშენებაზე გაიცხადებული ტენდერით არავინ დაინ-














# დრო მეტად დააფასებს

## გარდაიცვალა თენგიზ კიკალიშვილი



საქართველოს მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ნიჭიერი შემოქმედი, შესანიშნავი მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი.

იგი დაიბადა 1938 წელს. 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი. ამავე წლიდან ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. მუდმივად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საზღვარგარეთის სამხატვრო გამოფენებში სიმპოზიუმებსა და კონკურსში. მიღებული აქვს პრემიები ნამუშევრებისთვის: „გალაკტიონის პორტრეტი“ (1974 წ.), „კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტი“ (1976 წ.), „დიდგორის გმირთა მემორიალი“.

თენგიზ კიკალიშვილს თავის თაობასთან ერთად ქართული ქანდაკების შემდგომი განვითარების განსაზღვრა და ეროვნული პლასტიკის ტრადიციების გამრავალფეროვნება ერგო წილად. თენგიზ კიკალიშვილის მიერ შექმნილია სკულპტურული ნამუშევრები: „მოჭიდავე“ (1963 წ.), „ვაჟა-ფშაველა“ (1963 წ.), „შურისმაძიებელი“ (1964 წ.), „დედა ენა“ (1967 წ.), „დედა ანა“ (1967 წ.), „ბალადა სიყვარულზე“ (1974 წ.), „სვანი გოგონას პორტრეტი“ (1977 წ.), ჩვენი კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების, განსაკუთრებული სილუეტური გამოხატულების, ემოციური ძალის, შინაგანი დრამატიზმის და პატრიოტული შემართების მქონე სკულპტურული ბიუსტები, პორტრეტები, კომპოზიციები: „ა. სორაგას პორტრეტი“ (1982 წ.), „გედი“ (ვახტანგ ჭაბუკიანის სასაფლაო) (1982 წ.), „ტერენტი გრანელის პორტრეტი“, „აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის პორტრეტი“ (1978 წ.), და მრ. სხვა. ბოლო წლებში იგი „დავით ყიფიანის“ ქანდაკებაზე მუშაობდა.

თბილისში დადგმულია, ჩვენი კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების: „კონსტანტინე გამსახურდიას“, „დავით სარაჯიშვილის“, „შოთა ყავლაშვილის“ ძეგლები.

თენგიზ კიკალიშვილი შემოქმედებით მუშაობასთან ერთად, წლების მანძილზე, ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მის მიერაა აღზრდილი მხატვართა არაერთი თაობა.

თენგიზ კიკალიშვილის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების, გერმანიის, რუსეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის მუზეუმებში, ფონდებში, ქ. ქუთაისის სამხატვრო გალერეაში და კერძო კოლექციებში.

წავიდა ჩვენგან განათლებული, ღირსეული პიროვნება, პატრიოტი, უნიჭიერესი შემოქმედი. მეგობრებს, კოლეგებსა და მისი შემოქმედების თავყვანისმცემლებს გულისტკივილსა და დიდ სევდასთან ერთად დაუტოვა კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც რაც დრო გავა, კიდევ უფრო მეტად დაფასდება.

საქართველოს მხატვართა კავშირი.

### სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა იუნესკო, რომ გარდაცვალა ღვანწმოსილი პიროვნება, აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სოხუმის ილია ვეკუას სახელობის უნივერსიტეტის დამფუძნებელი და რექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### რამინ აბლოთია

და სამხმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## განსხვავება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306<sup>6</sup> მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლინგ“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ლილი ჩიბურდანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
  - უძრავი ნივთის თანამესაკუთრებები: ლილი ჩიბურდანიძე (3/6 61006021461), ბათუმი, აფხაროსის მე-3 შესახვევი, კორპუსი 14, ბინა №16
  - უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ბათუმი, აფხაროსის მე-3 შესახვევი, კორპუსი 14, ბინა №16 (საკადასტრო კოდი: 05.36.24.043.01.016).
  - უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
  - უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 15427.22 ლარი.
  - აუქციონის დაწყების თარიღი: 2021 წლის 21 აპრილი, 14:00 საათი.
  - აუქციონის დასრულების თარიღი: 2021 წლის 13 მაისი, 14:00 საათი.
  - აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge).

- 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP70501521; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 705015
- 6. მოვალე: ნუგზარ ბერიძე (3/6 61006007446), ბათუმი, აფხაროსის შესახვევი 3,

## ქიდე პირი პროექტი დასრულდა



თბილისის მერიამ კახეთის გზატკეცილის მე-12 კილომეტრის გადასახვევთან, ევროპის ქუჩაზე ხიდის რეაბილიტაცია დაასრულა. შესრულებულ სამუშაოებს და მიმდებარედ არსებული ფერდის დამჭერი კედლის მოწყობის პროცესს თბილისის მერი კახა კალაძე, მოადგილე ირაკლი ბენდელიანი და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსთან გიორგი აბუთიძესთან ერთად გაეცნო.

კახა კალაძის განცხადებით, ამ დროისთვის სატრანსპორტო მოძრაობა ორმხრივად აღდგენილია და გადაადგილება თავისუფლად არის შესაძლებელი.

„კიდევ ერთი პროექტი დაგასრულეთ. აქ ცოტა ხნის წინ ვიმყოფებოდი თქვენთან ერთად და ვახსენებ, რა სამუშაოები მიმდინარეობდა. ჩვენ შარშან დავამთავრეთ ევროპის ქუჩის რეაბილიტაცია, ეს ხიდი კი ამორტიზებული იყო. იგი სრულად განახლდა, პრაქტიკულად, ახალი პროექტი განხორციელდა. სატრანსპორტო მოძრაობა ორმხრივად აღდგენილია და გადაადგილება თავისუფლად არის შესაძლებელი. ერთადერთი, რაზეც მიმდინარეობს სამუშაოები, ეს არის ქვედა ნაწილში, დამჭერი კედლის განახლება, რასაც ერთი თვე დაჭირდება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

პროექტის ფარგლებში, 1700 კვ. მ ფართობის საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე ასფალტობეტონის ახალი საფარი, თვალამრიდები, ტროტუარები, სადეფორმაციო ნაკერები მოწყობა და დაზიანებული ნაწილები აღდგა. პროექტის განხორციელებისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 328 000 ლარი დაიხარჯა.

## საქართველოს თავდაცვის ძალებს 149 სამხედრო მოსამსახურე შეემატა

უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწვინის საბრძოლო მომზადების ცენტრის რეკრუტთა საწვინი I ასეულის ფიცის მიღების ცერემონიალი წვრთნებისა და სამხედრო განათლების მხარდამჭერ ცენტრ „კრწანისში“ გაიმართა.



თავდაცვის უწყების ცნობით, ჯარისკაცებს ფიცის დადების მნიშვნელოვანი დღე თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ზაზა ჩხაიძემ მიულოცა, წარმატებები და ქვეყნის წინაშე ღირსეული სამსახური უსურვა. ფიცის დადების შემდეგ რეკრუტებს სერტიფიკატები გადაეცათ.

## თრუსოს ხეობაში მამაკაცი გარდაიცვალა

შინაბანს საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ #12-ში შემოსული ინფორმაციის თანახმად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, თრუსოს ხეობაში მამაკაცი ფეხით გადაადგილებისას შეექმნა პრობლემა და ესაჭიროებოდა მასშველების დახმარება. მოქალაქემ ძლიერი ქარბუქის გამო, ვერ მოახერხა გზის გაგრძელება და გაჩერდა მდინარე თერგის ნაპირზე.

შეტყობინების მიღებისთანავე, მამაკაცის დასახმარებლად გავიდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები. რთული რელიეფის და უამინდობის გამო, მოქალაქის ადგილსამყოფელისკენ გაემართა მასშველთა ქვეითი ჯგუფი. ოპერატიული რეაგირების შედეგად, მოხერხდა მამაკაცის დროულად პოვნა და სამაშველო მანქანამდე უვნებლად ჩამოყვანა. მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება, – აცხადებენ უწყებაში. სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობას იღებდნენ სტეფანწმინდის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მასშველები.





### შეუფოთიანული პარტი რუსეთის გეგმების გამო!

ამერიკის შეერთებული შტატები ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის გეგმების გამო, დაბლოკოს უცხოური სამხედრო-საზღვაო და სახელმწიფო გემების შავი ზღვის ნაწილებში მოძრაობა, მათ შორის ოკუპირებულ ყირიმთან და ქერჩის სრუტესთან, - ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ლაპარაკი.

„რუსეთს უკრაინული გემების წინააღმდეგ აგრესიული ქმედებების განხორციელების ისტორია გააჩნია. ეს წარმოადგენს კიდევ ერთ არაპროვოცირებულ ესკალაციას მოსკოვის მიერ უკრაინისთვის ძირის გამოთხრისა და დესტაბილიზაციის კამპანიაში. ეს განვითარება განსაკუთრებით შემაშფოთებელია ოკუპირებულ ყირიმსა და უკრაინის საზღვრების გარშემო რუსული ჯარის ზრდის შესახებ სანდო ცნობებით, რომელიც ახლა ისე მაღალია, როგორც არასდროს 2014 წლის შემდეგ“, - ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ აშშ არასდროს აღიარებს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას. „აშშ კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ურყევ მხარდაჭერას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ჩვენ მივყავართ უკრაინას რუსული პროვოკაციების ფონზე მუდმივი თავშეკავებისთვის და მოვუწოდებთ რუსეთს, შეწყვიტოს რეგიონში გემების შევიწროება და უკრაინის საზღვარსა და ოკუპირებულ ყირიმში სამხედრო ძალების მობილიზება შეაჩეროს“, - ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

### კრემლის წინააღმდეგ სექტორალური სანქციები უნდა დანერგოს!

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დმიტრო კულეზაჩემ განაცხადა, რომ ევროკავშირმა კრემლის წინააღმდეგ სექტორალური სანქციები უნდა დაანერგოს.

„დღეს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე კოლეგებს შევატყობინე რუსეთის იმ სახიფათო კურსზე, რომელიც სიტუაციის გამწვავებაზე მიმართულია. მოქმედების ეტაპობრივი გეგმა შევთავაზე რუსეთის შემდგომი ესკალაციის შეკავების მიზნით. სექტორალური სანქციების ახალი პაკეტის მომზადება ამ გეგმის მთავარი ელემენტია. პერსონალური სანქციები საკმარისი აღარ არის“, - აღნიშნა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა.



### ნაპალის გულის შეტევაში „ჩაუნყვან“

პატიმრობაში მყოფი რუსი ოპოზიციონერი ლიდერის ალექსეი ნავალის სიკვდილის შემთხვევაში რუსეთს მძიმე შედეგები ელოდება. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯეკ სალივანმა განაცხადა.

„ჩვენ ვაცნობთ რუსეთის ხელისუფლებას, რომ ის, რაც ხდება ციხეში ნავალისთან დაკავშირებით, მისი პასუხისმგებლობაა და ისინი (ხელისუფლების წარმომადგენლები) პასუს აგებენ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე“, - განაცხადა სალივანმა.

მას არ დაუსახელებია კონკრეტული ზომები, რომლებსაც ამერიკის ხელისუფლება განიხილავს. „თუმცა ჩვენ ვაცნობთ, რომ ნავალის სიკვდილის შემთხვევაში, დადგება შედეგები“, - დასძინა მან. ალექსეი ნავალნი გულის შეტევის რისკის წინაშეა.

### ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

### ყველაზე დიდი აისბერგი დაღწა

A68 - აისბერგი, რომლის ფართობიც 2017 წელს 6 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა და რომელიც ანტარქტიდას 4 წლის წინ გამოეყო, ზომაში მნიშვნელოვნად შემცირდა და დაიშალა.



სატელიტის გამოსახულება აჩვენებს, რომ ერთ დროს ყველაზე დიდი აისბერგი, პრაქტიკულად, გაქრა და უამრავ მცირე ფრაგმენტად დაიყო. 2017 წელს, როცა ყინულის ეს ნაწილი ვებერთელა მასას გამოეყო, ის თითქმის არ მოძრაობდა. ერთი წლის შემდეგ კი, მოძრაობა ჩრდილოეთით, კლიერი დინებისა და ქარის გავლენით დაიწყო. A68 ყველაზე დიდი აისბერგის სტატუსს 3 წელი ინარჩუნებდა.

„NASA“ - კიდევ ერთ გამარჯვებას ზეიმობს. პლანეტა მარსზე „ვერტემფრენმა“ პირველი ფრენა განახორციელა. ამ მოვლენას მთელი სამყარო განსაკუთრებულად ელოდა.

### დედაშინა მარსს იპყრობს

„NASA“ - კიდევ ერთ გამარჯვებას ზეიმობს. პლანეტა მარსზე „ვერტემფრენმა“ პირველი ფრენა განახორციელა. ამ მოვლენას მთელი სამყარო განსაკუთრებულად ელოდა.

პატარა საფრენი აპარატი „Ingenuity“ მარსზე თებერვალში გადასვს. მისი აფრენის რამდენიმე მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. თუმცა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა დასახულ მიზანს საბოლოოდ მაინც მიაღწიეს.



მთვარი მისია იყო, რომ საფრენი აპარატი სამ მეტრამდე აფრენილიყო, გარკვეული დრო ჰაერში გაჩერებულიყო და შემდგომ მშვიდად დაბრუნებულიყო მარსის ზედაპირზე. მართალია, ეს მოვლენა წამების განმავლობაში გაგრძელდა, თუმცა ეს უკვე უდიდესი მიღწევაა-აცხადებენ მისიის შემქმნელები.

### მილიარდერი სერგეი ბრინის ახალი ახირება

კომპანია „Google“-ის დამაარსებელი, მილიარდერი სერგეი ბრინი დირიჟაბლს აშენებს. როგორც ჩანს, მას ეს იდეა დიდი ხანია თავში უტრიალებს. მშენებლობა უკვე 4 წელია მიმდინარეობს და მისი ცაში აფრენა 2021 წელს იგეგმება.

ახალი დირიჟაბლი 200 მეტრის სიგრძის იქნება, რაც ორი დიდი სტადიონის ფართობს აღემატება. მილიარდერის ახირებას საქველმოქმედო მიზნები აქვს. როგორც გაირკვა ბრინს ეს საფრენი აპარატი ჰუმანიტარული დახმარებისთვის სჭირდება. იგი აცხადებს, რომ დირიჟაბლს არ სჭირდება სპეციალური ნებართვა, ამიტომ მისი საშუალებით პროდუქტს იმ ადგილებში ჩავიტანთ, სადაც თვითმფრინავებს და ვერტემფრენებს წვდომა არ აქვთ.

დირიჟაბლი 14 ადამიანზე იქნება გათვლილი, გარდა ჰუმანიტარული მისიისა იგი სუპერ-თანამედროვედ იქნება მოწყობილი. მისი საშუალებით მილიარდერი და მისი სამეგობროც ხშირად მოინახულებენ მოგზაურობებს. პროექტის დაფინანსება მილიარდერმა მთლიანად საკუთარ თავზე აიღო, თუმცა მას-მედიამ ჯერ ვერ გაარკვია, თუ რა როლდენობის თანხა დაიხარჯა მილიარდერის ოცნების აღსრულებაზე.



მოამზადეს რუსულან ძოზულიამ და კახა ძორიძემ

**საქართველოს რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**  
 შპს ფშაპილას №48  
 ტელ: 239-03-43

---

მთავარი რედაქტორი  
**სვარტაძე ძოზულია**  
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
**გურამ გომიაშვილი**  
 599 53-76-16;  
**ალექო**  
**ასლანიშვილი**  
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
**მამუკა ვაშაქიძე**  
 514 33-33-24

---

გამომცემელი:  
 შპს „ახალი საუკუნე“ -  
 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანამდგომარეობა“-  
 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“  
 გამომცემელი“  
 ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა  
**„კოლორი“**  
 ე. ბაღდავაძის №3

---

**კოლორი**  
 ჰაუფი

uac(უაკ)070.4(479.22)  
 ს-323

2 009882 616932

**ავტორთა სახურადადგო!**  
**რედაქციის მიერ შეუქმნათვი მასალაში დანიშნულია**  
**ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გუდაამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხუტაზე პასუსს ავტორთა ავტორები.**

**გაზეთის მომწოდებელი ნომერი გამოვა პარასკევს, 23 აპრილს**



**უსტორიული ვაჭრობის ქარსი:**  
 აუზ ღოღარი - 3.4359; პირი - 4.1351;  
 ბრეტანული პირაპირა სტარტინგი - 4.7735;  
 100 რუბლი - 4.5112; თურქული ლირა - 0.4258;  
 ანკარაპირაპირა მანათი - 2.0192;  
 1000 სომხური დრამი - 6.5846.

**აპრილი 21 აპრილისთვის**

<b>აღმოსავლეთი საქართველო:</b>			
ბარსი -	ლაშქ	+11,	ფლე +22
მთიანი რაიონები -	ლაშქ	+8,	ფლე +24
<b>დასავლეთი საქართველო:</b>			
ბარსი -	ლაშქ	+8,	ფლე +18
მთიანი რაიონები -	ლაშქ	+8,	ფლე +19
თბილისი:	ლაშქ	+13,	ფლე +24

**დაგვიკავით, მოგვწერათ:**  
 ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84  
 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru  
 და sakresp@top.ge  
 ვებ-გვერდი: www.sakresp.ge